

საქართველოს  
ბავშვთა  
ლიტერატურა

№11  
თბილისი  
1938 წ.

გაერთიანებული „კრეატივისტი“

ფასი 60კ

# ბავშვები

95/11 847  
234



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

## ბავშვმაცკი იცის

— ნათელა, ფსიხრად ითამაშე, თორემ გაგაზღვებთ იცოდ: შენ ინფლისი ხარ, ჩვენ უველა ნავეები უნდა გადავიბრუნოთ და შენ ხმა არ უნდა ამოიღო.




# ახალი იგავ-არაკები



## ნაგავი და ჭოპოსანი

— იაპონიის სამხედრო წრეებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჩინელი ხალხის გვირუკმა წინააღმდეგობამ კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენა იაპონიის არმია. იაპონელთა ზარალი დღითიდღე მატულობს.  
— ომის საწინააღმდეგო განწყობილება დღითიდღე იზრდება იაპონიაში.  
(გაზეთებიდან ამოკითხულის მიხედვით)

ნაგავს ცოფი მოერია და აებნა გზა და კვალი, —  
სისხლის წყურვილს აყოლილმა იწყო ღრენა და წანწალი.  
გასცდა ეზოს პატრონისას, სხვის ჭიშკარში შეწანწალდა, —  
ერთ სამშედლოს მიადგა იქ და იმაში შესვლა სცადა.  
გარს უარა, მგვრამ კარი დაკეტილი რაკი დახვდა,  
ფანჯარიდან მკაშურა, ისკუბა და შიგ გადახტა.  
და კუთხეში მიყუდებულ დიდ ჭოპოსანს სტაცა პირი  
(ქლიბის შეკვმა მოინდომა, ნახეთ საქმე გასაკვირი!)  
ღრღნა დაუწყო, კბილი მოსტყდა, ბოლოს ხორკლზე გაჰკრა ენა;  
ხორკლმა ენა დაუშაშრა და დაუწყო სისხლმა დენა.  
ბიჭოს სისხლი... და ქოფაკი ისე დათვრა, გათამამდა,  
რომ ვერ მიხვდა, რომ თვის სისხლთან თვისასავე ენას სჭამდა.  
ვერ მიხვდა რომ ქლიბს კბილები ვერას ავნებს ვერასოდეს, —  
თუნდაც იგი ცოფით დამთვრალ დიდ ნაგავსაც ეკუთვნოდეს.  
და ის ქლიბი წკმუტუნითა ღრღნა და ლოკა ხარბად მანამ,  
სანამ თავის საკუთარი ენა მთლად არ შეატანა...




უნებურად გახსენდება  
ეს ამბავი ძველისძველი  
როცა ხედავ, რომ იმ ნაგავს  
გასჩენია მიმბაძველი:  
ხედავ, ცოფით დამთვრალ ფაშის  
და იმავე ბოლოს ელი:  
ჭოპოსანის მლოკავ ნაგავს  
არ შერჩება ენა მთელი.

ამ იგავის მარტივ შორაღს ალბად მიხვდა მისით ყველა:  
ქლიბად დარჩა ჭოპოსანი — ძალი — ცოფმა გადიოლა.

## ქოსა და ჭიკაძე

— ესპანეთის შეამბოხეთა მეთაურმა გენერალმა ფრანკომ იტალიელ და გერმანელ ინტერვენტებს განუსაზღვრელი უფ-  
ლებები მისცა ესპანეთის დაპყრობილ ნაწილში.  
— რესპუბლიკური ესპანეთის გმირული არმია მდგრად იცავს თავის ქვეყანას. ინტერვენტების ზარალი დღითიდღე იზრ-  
დება.  
(გაზეთებიდან)

ქოსას — თაღლითს, წვრილფეხა ქურდს არ გააჩნდა თვისი ქერი  
და კარდაკარ წანწალობდა სხვის ნასუფრალს შენაჩერი,  
ასაცოცებს თუ ნახავდა, აცოცებდა უმაღ, მარა  
კუჭი მაინც ვერ გაიძლო და შიმშილმა გაამწარა.  
სათამაღოს ჯდომა სურდა, რომ სხვის სუფრა თვითონ ემწყსა,  
მაგრამ შორით შესტყეროდა სხვების ღვინის და ყლაპდა ნერწყვისა.  
ერთ დღეს, როცა მოსაპარი ვერაფერი მოიხელა,  
წანწალით და ბედის მღურვით ერთი ეზო გადათელა,  
(დაიქანცა, შიმშილისგან თანაც კუჭი დაეშრიტა),  
ერთ დიდ სახლის ფანჯარაში მან ქურდულად შეიჭვრიტა.  
დაინახა: ქურა ღვივის, ზედ მცერიაში მწვადი შიგის.  
შლიან სუფრას და სახლს ქარგავს დოვლათის და შრომის სხივი...  
რა ჰქნას? შესვლა ვერ გაბედა, რომ თუნდ ლუკმა მოებარა,  
გამობრუნდა ნერწყვის ყლაპვით და გზად ფირალს შეეყარა.  
უთხრა: — ძმაო, გატყობ გვიან, ვგრძნობ — იტანჯი კუჭის წვითა  
და მსურს გიხსნა... აგერ ვცხოვრობ (დიდ სახლისკენ მიუთითა)  
ხორავი მაქვს რამდენიც გსურს, მწვადი იწვის, სუფრას შლიან,  
მე ჩემს სახლში სტუმრისათვის ღვინი ჯერ არ დამიშლია.  
შედი სახლში ნებას გაძლევ შეამტვრიე თუნდაც კარი —  
ერთ დიდ სინზე დალაგე სანოვაგე, რაც იქ არი,  
მოიტანე აგერ ხის ქვეშ — (მე დაგიციდი სამასპინძლოდ),  
დავსხდეთ ერთად და გემოზე ვიქეიფოთ ერთი ვინძლო...  
დაუჯერა ფირალმა და იმ დიდ სახლში შეჭრა სცადა  
— მე პატრონი მპატიჟობსო, — სახლის პატრონს განუცხადა.  
გაჯიუტდა, ყაჩაღურად მოსატაცად წაეტანა.  
რაც ნახა და მოეწონა რომ წაეღო ქოსასთანა  
და როდესაც სახლის პატრონს დაეკარგა მოთმინება —  
ის მიართვა, რაც აბეზარ მოძალადეს ეკადრება:  
არ დახარჯა არცა თხოვნა, არც მუდარა და თავაზა, —  
ფირალსაც და ქოსა ქურდსაც თითო კეტი უთავაზა,  
რის ხორავი, რის ქეიფი? ვერ მიართვა ნიახური, —  
მიუღწეა ლავიწები და იფრინა გალახული.



შორალი ამ იგავისა —  
ვკითხოთ — გვერდებ განაპენტებს —  
ქოსა ქოფაკ ფრანკოს მიერ  
გაბრიყვებულ ინტერვენტებს.  
სხვის სუფრაზე ქეიფი სურთ,  
ნამღვილ პატრონს კარს უმტვრევენ,  
მაგრამ ვნახავთ, ქოსასავით  
თუ წელს როგორ აითრევენ.

ფარსადანი



# რედაქციის გასაქონი



ფაშისტურ გაზეთის რედაქტორის კაბინეტში იმავე გაზეთის საინფორმაციო განყოფილების გამგე შევიდა.

— რა არის ახალი? — შესვლისთანავე შეეკითხა რედაქტორი.

— ბერლინში საერთაშორისო ავიაციის ფედერაციის კონფერენცია გაიხსნა.

— მიეცი.

კოტა ხნის შემდეგ რედაქტორის მაგიდაზე იდგა სტამბაში გასაგზავნათ გამზადებული ინფორმაცია, რომელშიც ეწერა: „გაიხსნა საერთაშორისო ავიაციის ფედერაციის (ფაი-ს) კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავები სპირინი, გრომოვი, იუმაშევი და დანილინი...“

— რა? გმირი მფრინავები? საბჭოთა კავშირიდან? კომუნისტური ავიატაცია გამოდის. უნდა წაიშალოს.

— მაშ წავშალოთ მფრინავთა გვარები და მხოლოდ დამხოლოდ ასეთი ინფორმაცია დარჩება: „კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მფრინავები საბჭოთა კავშირიდან“.

— არც ეგ შეიძლება! აკრძალული მაქვს... საბჭოთა კავშირის ხსენება სხვა სახელმწიფოებთან ერთად დაუშვებელია: კომუნისტური ავიატაციაა. კონკლავერში გვიკრავენ თავს... სხვა რა არის ახალი?

— კოკინაი ძირდაუშვებლად ვლადივოსტოკში გადაფრენილა...

— ვინ არის კოკინაი?

— იაპონელი უნდა იყოს.

— მივცეთ. ტოკიოდან ვლადივოსტოკამდე არც ისე დიდი მანძილია, მაგრამ მივცეთ რაკი ჩვენი კაცია. — წარმოსთქვა დაბნეულად რედაქტორმა.

— მაინც შევამოწმოთ. იქნებ იაპონელი არ არის... კოტა საეჭვო გვარია. ტექსტი წავიკითხოთ.

და წაიკითხა:

— „საბჭოთა კავშირის მფრინავი კოკინაი მოსკოვიდან ძირდაუშვებლად ვლადივოსტოკის რაიონში გადაფრინდა ერთი დღე-ღამის განმავლობაში და დაამყარა სიჩქარით ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი...“

— ეს კი მართლა რეკორდია, მაგრამ მოვტყუვდი: იაპონელი მეგონა... — მორცხვად მოუბოდიშა რედაქტორს განყოფილების გამგემ.

— მეც ლამის დაგიჯერე... არ გაუშვა! ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ მსგავსი რამე არსად გაგვეპაროს! — წარმოსთქვა რე-

დაქტორმა და „მავნე ინფორმაციას“ წითელი ხაზი გადაუსვა.

— სხვა რა არის საინტერესო? — იკითხა ისევ რედაქტორმა.

— ჩვენი ოთხმოტორიანი თვითმფრინავი „კონდორი“ ბერლინიდან ქაირში გადაფრინდა.

— დიდებულია! ანშლაგით გაუშვი! სხვა მასალები რა ცნობებს იძლევიან?

— დებეშა ამერიკიდან: ერთ საათში დაიწყება ჩვენი გამოჩენილი მოკრივის, წმინდა სისხლის არიელის, ბერლინელი შმელინგის კრივი ზანგ მოკრივესთან ლუისთან მსოფლიო პირველობისათვის. შმელინგი სრულ ფორმაშია და სავსებით დარწმუნებულია მოწინააღმდეგესთან გამარჯვებაში. არიული მოდგმა ერთ საათში ძლევის ახალი ტრიუმფის შარავანდედით გაბრწყინდება.

— დიდებულია! გაუშვი! შავი ასოებით დაიბეჭდოს!

— შიკრიკი მოვიდა, დებეშათა სააგენტოდან ახალი ინფორმაცია მოიტანა! — მოახსენა რედაქტორს და განყოფილების გამგეს ტექნიკურმა მდივანმა.

— აქვე წაიკითხე რაც საინტერესოა! —



უთხრა რედაქტორმა საინფორმაციო განყოფილების გამგეს.

კითხვას შეუდგნენ.

— „საერთაშორისო ავიაციის ფედერაციის — ფაი-ს კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა...“

— მივცეთ! — შენიშნა რედაქტორმა.

— ჯერ არ დამთავრებულა ინფორმაცია. წაიკითხოთ! — გააფრთხილა განყოფილების გამგემ და კითხვა გააგრძელა: „...კონფერენციის მუშაობაში ცენტრალურ მემენტს წარმოადგენდა დე ლა ვოს მედალე-

ბის დარიგება საუკეთესო საავიაციო მიღწევებისათვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ოთხი მედალიდან სამი მიესაჯა საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავებს: გრომოვს, იუმაშევს და დანილინს.

— რაო?! საბჭოთა კავშირის მფრინავებს?! მოხსენით! არ გაუშვათ! ამის შესახებ სპეციალური ბრძანება მაქვს მიღებული! ახლავე, ჩემს თვალწინ დასწვით ინფორმაცია! — ალღევებით წარმოსთქვა სახეგაფთობებულმა რედაქტორმა.

— აი, მეორე ინფორმაცია: — წარმოსთქვა რედაქტორის „მოსულიერების“ შემდეგ განყოფილების გამგემ: — „ჩვენი ოთხმოტორიანი თვითმფრინავი „კონდორი“, რომელიც ბერლინიდან ქაირში გადაფრინდა, უკან დაბრუნებისას იძულებული გახდა ტექნიკურ ნაკლულოვანებათა გამო სალონიკში (საბერძნეთში) ძირს დაშვებულიყო.

— სირცხვილია! თავის მოჭრა! მოხსენით ანშლაგი! არ მისცე ქაირში გაფრენის შესახებ არავითარი ინფორმაცია.

— მაშ რა ვუყო ჰერ! განყოფილებისთვის მხოლოდ ერთი ინფორმაცია მრჩება, შმელინგის ნეგრ ლუისთან კრივში შეჯიბრების შესახებ. ერთი მასალით ხომ ვერ გავუშვებ განყოფილებას? — ის-ის იყო წარმოსთქვა დამწუხრებულმა საინფორმაციო განყოფილების გამგემ, რომ ამ დროს შიკრიკმა დებეშა მოიტანა.

საჩქაროდ გახსნეს.

განყოფილების გამგემ სათაურს თვალი გადაავლო და აკანკალებული ხმით წაიკითხა:

— „შმელინგის ტრაგედია. ბერლინელ მოკრივის შმელინგის შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ნეგრ ლუისთან შმელინგის მარცხით დამთავრდა. ორი წუთისა და ოთხი წამის განმავლობაში გრძნობდაკარგული შმელინგი, რომელსაც 22 მუშტი მოხვდა, სამჯერ ჩაიკეცა.

— საშინელებაა! მოხსენით სავსებით ინფორმაცია კრივის შესახებ. სათაურიც რა ირონიულია: „შმელინგის ტრაგედია“, ო, ეს ტრაგედია მარტო შმელინგის ტრაგედია ხომ არ არის! ეს ჩემი ტრაგედიაცაა!.. რა უნდა მივაწოდო. მკითხველებს?!.. მეტი გზა არაა: მოხსენით სავალიო გაზეთში ყოველგვარი ინფორმაცია! — ლულულულებდა კლასიკური ტრაგედიის დამარცხებული გმირის ტონით კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქტორი.



# საქმის კურსში მყოფი

ეროვნული  
საბ. დონის  
გინ. ლიტერატ.



ფოსტის გაგზავნა: — მუვიდობით საყვარელო ცოლუვილო, სამ თვეს აგარაკზე იქნებით, ველაც ვაჩილს მივიღებ თქვენთან, ვერც დავიხვას და ავანათუა ფიქრი ხომ სულ ჯედმეტია!..





ჩვენი წითელი  
სიცილით ბრძოლის  
მალე სრულდება  
ხუთმეტი წელი,  
წელი, — ხალისით  
სავსე მოყვრისთვის  
და მტრებისათვის  
ავი და მწველი.

რომ ეს თარიღი,  
საინტერესო,  
არ გაშქრეს როგორც  
უხბო ზმანება,  
ჩვენ გადავწყვიტეთ:  
მოსაწოდებლად  
რომ გამოქვეყნდეს  
ესე ბრძანება.

თანახმად მკითხველ  
მასების თხოვნის,  
თვე აგვისტოსი  
რა წამს მოვიდეს,

ქორთა ნომერი  
იუბილესთვის  
გამოცხვეს ხელად  
და გამოვიდეს.

ნომერი იუოს  
ორმაგი, ვრცელი,  
(ჩვენთვის ქალაქი  
არ ენანებათ.  
სტეფანემ, ჩვენმა  
გამომცემელმა,  
ზვინად მოზიდა  
რულონთა წყება)

თან სამახსოვროდ  
განვიღო ბრძოლების  
ერთი კრებულიც  
შეხობლოზინდეს,  
შიგ ნიანგელთა  
რჩეულ მასალის  
კითხვით ბაგეზე  
ღიმი მოგვლინდეს.

საჭირო არის  
ამ მიზნისათვის  
რომ მოგვაწოდოს  
რჩეული ძღვენი, —  
დანარჩენ საკითხს  
დაზუსტებულად  
თქვენ გაგიმართავთ  
ბარათი ჩვენი..

ნიანგელებო!  
ჩვენი ბრძოლების  
მრავალი ახსოვს  
მტრის მრისხანება,  
თქვენგან ძღვენს ითხოვ  
იუბილესთვის,  
ძღვენს ურჩეულდეს,  
ჩემი ბრძანება.

დედანს ხელს აწერს — ნიანგი  
დედანთან სწორია გვიღუჭა.

## ცხელ-ცხელი ამბები

### ფ ი ც ი

ს. ნუკრიანის (სიღნაღის რაიონი) საბჭოსთან არსებულ საზოგ. სასამართლოს  
თავ-რე კრაწაშვილმა რვა თვის წინ, სარკესთან ფიცი დასდო თავის ორფულის  
წინაშე, რომ ამ ორიოდ წლის განმავლობაში მშრომელთა არც ერთი საჩივარი  
არ გაარჩიოს.

კრაწაშვილი ფიცს გულმოდგინედ ასრულებს.

ნიკიფორე.

### სიზმარ-ცხალი

ს. ვაჭირი (სიღნაღის რაიონი) მთელი წლის განმავლობაში უმანკოთ  
მიძინებულს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავ-რე მ. ხატიაშვილს  
წუხელის გამოვლენა და ამხანაგებს უამბო თითქოს სიზმარში ენახოს,  
რომ კოლმეურნეობაში ვილაქცებს მ ტონა სიმინდი და სხვა რამე-რუმეები  
გამქაფოს.

სიზმარი იმ დღესვე აუხდა.

სკვანჩი

### აღმოჩენა

აბაშა. მთელი ორი თვე უგზო-უკვლად დაკარგული ინსტრუქტორი აბაშის  
რაი სოცდაზღვევისა—გ. კაკაბაძე, გუშინ სარდაფში აღმოაჩინეს, სადაც ღვინის  
ტიკებთან ძმაბიჭურად ჩახვეული „ახტიკო-ტიკოს“ მღეროდა.

ქოლოზნელი

### იზვიათი ღღე

ძირულის (ხესტაფონის რაიონი) ფოსტა-ტელეგრაფში ორი კვირის განუწყვე-  
ტელი სიარულის შემდეგ მოქ. ნ. ნიორაძემ, როგორც იქნა იშოვა ერთი კონვერ-  
ტი (ისიც დახეული) მარკით.

ეს ღღე იშვიათ ღღედ ჩაიწერა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობაში.

შ. კოგი

### უნივერსკოპოტი

თბილისის უნივერსიტეტის საავეჯო ფილიალში ა/წ. 10 ივნისს მოეწყო საჩვენე-  
ბელი მუშტი-კარივი.

ამ „სპორტული ვარჯიშის“ შედეგად დამტკრებულია ოთხი მაგიდა, ორი რკი-  
ნის კრაოტი და სამი ცარიელი თავი.

„ოსტატის“ სახელი ჯერჯერობით მიენიჭა ფილიალის თანამშრომელს სოლო  
სადაგოვს, რომელსაც განზრახული აქვს შეჯიბრებაში გამოიწვიოს საავეჯო ფილ-  
ილის დირექტორი.

ბენო

### გადაჩენა

მარელის (ორჯონიკიძის რაიონი) გრებილ-ავეჯულობის ქარხნის დირექტ-  
ორს გუშინ ქარხნის მუშების საერთო საცხოვრებლის დათვლიერების დროს წვი-  
მამ მოუსწრო ერთერთ ოთახში. დირექტორი დახრჩობას გადაარჩინა ამავე  
ოთახში მცხოვრებმა მუშა სტახანოველმა.

რა-ტა-ია

## თბილისის კ. გ. საღვურზე


(პაროდია)

ერთი, ორი... სამი... ბიჭოს... იგლისის თვე ისე გადის,  
რომ მე მიზანს ველარ ვალწევ: აგარაკზე წასვლა მწადის.  
ცხელი ღღეა... ოფლში ვცურავ, აგარაკზე წასვლა მინდა,  
ბილეთისთვის ვიბრძვი, მაგრამ სწრაფვა ჯერ არ დავეიგვინდა.  
ჩვენ რკინიგზის სალაროსთან იმ სიგარქვა მგზავრთა რიგი,  
რომ კვარტალით აღრე უნდა დაიჭიროთ თადარიგი.  
მატარებელი ვიგულე დავიმშვიდე ამით გული,  
საჭიროების მიხედვით გასაგზავნად დანიშნული.  
მაგრამ თვალთ არ გვინახავს არ შემოცხვეს მამის „სული“  
აქ სხვა ხელი სჩანს მოქმედობს სხვა „საქმისთვის“ გამიზნული.  
სალაროსთან გრძელი ნიხრი როს ეკილა მაინც გრძობდა  
სუყველა, რომ მგზავრს მოლარე არა ერთი ტყავს აძრობდა,  
ან უტიფრად მეტ ფასს თხოვდა, ან და ხურდას იქაფავდა,  
თვით სჭამდა და სხვას აქმევდა და ამით გზას იკაფავდა.  
ო, რამდენი სწერეს მათზე, გადალახეს სიტყვის ზღუდე  
და მაინც არ აღმოფხვრილა სამარცხვინო მათი ბუდე.  
ნიხრის დროს რომ ეს ხდებოდა უნიხრობით რას არ ნახავ?  
დირექციავ, რას უყურებ, რომ შეგიკრავს უქმად ხახა?!  
ნიხრის შეცვლის მათ მიზეზით ძველი ნიხრი ჩამოიღეს  
და სანაცვლოს არც აკრავენ, ეს კანონად შემოიღეს.  
იგავია ერთნაირი, შეთხზულია იგი ძველად:  
ერთხელ თურმე მოიყვანეს ორაგული დასასჯელად.  
მტაცებლობას მიჩვეოდა.. და სასჯელად დაუსახეს  
ის, რომ მავნე, მუხანათი, დიდ მორეში გაღუძახეს.  
ამ მსაჯულის როლში ცხადათ გვხვდება კარბეზ ფარცვანია  
ის საღვურის უფროსია, სჩანს, საქმისთვის არ სცალია.  
მე ბილეთი სალაროდან შევიძინე სხვანაირად  
ხერხი, მისი შექმნისა სხვებს არ გავდა და აი რად:  
მე საღვურის დიდ დარბაზში „ნასილჩიკან“ წამიჭრია:  
„მოლარე მყავს მე ნაცნობი ჩაფსკვნილი: და ტანფუნჩულა,  
აქ ლოდინი მთელ წელს გასტანს ვერ გამოლევ მილეთსაო,  
კოტა ფული მახეიო, მე აგბღებ ბილეთსაო,  
ბილეთი, რომ თუმნად დირდა, თქვა; ფასობო ოცდაათი  
და მანეთიც გასამჯელოდ ჩაიჯიბა თითონ ათი  
ერთი... ორი... სამი... ბიჭოს, ჩემი საქმე წინ წინ მიდის,  
ერთ ვაგონში შევეცხვე, შემეცვალა სიტხით „ვიდი“,  
ზარს რეკავენ და ვწუხდები დრო რომ არ მავქს, არ მცალია,  
რომ მადლობის ნიშნად ხობტა ვუძღვნა კარბეზ ფარცვანიას.



# თინათინი რომანი

საქართველო  
ბიბლიოთეკა



ქალს, რომელსაც ძალიან უყვარდა სხვისი ბავშვები: ახალ ენადგმულები, სიცოცხლით სავსენი და ხანდახან მომავალ, საკუთარ ბავშვებზეც ოცნებობდა ხოლმე, და ვაჟს, რომელსაც სრული უფლება და საშუალება ჰქონდა შეერთო ქალი და საკუთარი მამა—პაპად გაეხადა — გააცნეს ერთმეორე.

ეს ასე მოხდა:

ექვსიოდე თვის წინათ, საღამო ხანს, პლენანოვის პროსპექტზე, სამ ქალიშვილს ერთი ვაჟი შეეყარა. ეს ვაჟი მხოლოდ ორს მათგანს იცნობდა. მესამეც გააცნეს. ვაჟზე ქალს უჩურობდა — არქიტექტორიაო; ქალიშვილის პროფესია არ დაუსახელებიათ; ახალგაზრდობილებმა საკუთარი სახელები აჩუქეს ერთი-მეორეს.

— ავთო...

— თინა...

თინათინი! ავთანდილი! რა მოხდენილი სახელებია! და რა უმოწყალო უნდა იყო ამ მოთხრობის ავტორი, რომ, თუ გნებავთ, მხოლოდ შოთა რუსთაველის ხათრისთვის, მათ ერთი-მეორე არ შეაყვარო!

მაგრამ საქმე უფრო ბედნიერად დაიწყო: თინათინს და ავთანდილს არც შოთასი და არც ამ მოთხრობის ავტორის ჩარევა არ დასჭირებიათ, — თავისით გამოიჯანუღრდნენ.

მათი დაახლოების ტემპები სწრაფად ვითარდებოდა. მხოლოდ პირველად შეუშალა ხელი ერთმა პატარა გარემოებამ: თინათინმა არ იცოდა რა იყო არქიტექტორობა. სხვას ვერ ეკითხებოდა: სცხვენოდა. დიდხანს ატარა ბოლმა გულში. ბოლოს ერთს ნაცნობთაგანს ჰკითხა.

— არქიტექტორი სახლების მშენებელია. — უთხრა ნაცნობმა.

— სახლების მშენებელი? — განერვიულდა თინათინი — მე რაღაც მეგონა. მაშასადამე, კალატოზი ყოფილა...

თინათინის ნერვიულობისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ნაცნობმა ისე მისცა ზედმეტი განმარტება:

— არა, კალატოზი მხოლოდ კედლებს აშენებს. არქიტექტორი კი მთელი სახლის მშენებელია...

— მაშასადამე, კალატოზობასთან ერთად, დურგლობაც სცოდნია.

და როცა ზუსტად განუმარტეს, რომ არქიტექტორი ინჟინერია, შენობების პროექტებს ადგენს და ამ პროფესიას არც კალატოზობასთან, არც დურგლობასთან საერთო არაფერი აქვს, თინათინის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

მისმა სამიჯნურო ტემპებმა აქედან იწყებს ჯერარნახული განკითხარება.

ქალის პირველი წერილი ასეთი იყო:

„ჩემო არწივო! პირველად ვიღებ კალამსა, შორიდან გითვლი საღამსა. არაფერი იჯავრო, არავის არაფერი გააგებინო ჩვენი სიყვარულის შესახებ, თორემ ხომ გაგიგონია: სიყვარულსა მალეა უნდაო“ და სხვ.

ვაჟიც ასევე სწერდა ხოლმე, მაგრამ იმასაც დასძენდა, რომ: „სიყვარულსა მართალია მალეა უნდა, მაგრამ არც ისე უნდა დამალო რომ შენვე დაგეკარგოს“..

ახალი სიტყვებით გამდიდრდა იმათი ლექსიკონი: არწივო, გუგულო, მერცხალო, გვრიტო, ჩიტო და ლამის ოფოფი და კაჭკაჭიც აღარ დააყენეს ერთ ადგილას იმათმა წერილებმა.

ავთანდილი კინდამ აგრონომი გახდა, ისე შეისწავლა ამ ზაფხულს ყოველგვარი ყვავილების სახელები: ისე დღე არ გავიდოდა, რომ თინათინთან მისვლისას თან თაიგული არ მიეტანა.

თანდათან სწყინდებოდათ ეს სამიჯნურო ცერემონიები. უყვარდათ ერთი-მეორე, მორჩა და გათავდა! ასე ხომ არ დაბერდებოდ-

ნენ? ასე დასინჯეთ სალაპარაკო საკითხებიც კი გამოელიათ. უყვარდასკნელი პროფესიონალური ამბების შესახებ თხრობა დარჩა, მაგრამ ვაჟს მოსაწყინა — ეჩვენებოდა თავისი პროფესიის შესახებ ლაპარაკი და სდუმდა. ქალსაც, აბა, რის შესახებ უნდა ელაპარაკა გარდა სიყვარულა?

და უფრო პრაქტიკულ საქმიანობაზე გადაჭადნენ

— გააგზინე იდეაშენს, რომ მე უნდა წამომეყვე ცოლად. — უთხრა ერთ დღეს ვაჟმა ქალს

— ძალიან კარგი, შენც შეატყობ. ე შენს მშობლებს, ბარეს დავაბოლოოთ, ს.ქნე...

ვაჟმა აუტან „იმ მისმა ნაბიჯებ“ უკვე იცოდა ამის შესახებ და თანახმანიც არიან, მხოლოდ მათთან გაცხობაა საქმე. ქალი დათანხმდა გაცნობაზე და ამ საქმიანთვის მეორე დღის საღამო დაინიშნეს.

განზრახვა შესრულდა: მეორე დღეს კინო „დამკვრელთან“ შეხვდნენ და ვაჟის სახლისაკენ გასწიეს. ავთანდილმა წინადადება მასცა — ტრამვაში ჩამსხდარიყვნენ. თინათინმა უსარი თქვა. ავთანდილმა ავტობუსი შესთავაზა. თინათინმა იგივე გაამყარა. ვაჟმა ტაქსი გააჩერა. ქალმა თქვა:

— მე ფეხით მიიდა წასვლა, ჯერ არ მოგხუცებულვარ...

ფეხით წავიდნენ.

მიდიოდნენ. ქალს თაიგული ეკავა ხელში და იცინოდა. ვაჟს ქალის მკლავი ეჭირა ხელში და უაროდა. მათი მომავალი ცხოვრების შესახებ ლაპარაკობდნენ.

გაიარეს პლენანოვის პროსპექტი. მარქსის მოედანსაც გასცდნენ.

და აქ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა.

საპარიკმახეროდან დალაქთა მთელი ამაღა გამოცვინდა და ავთანდილს დაეჯახა:

— სადა ხარ ბიჭო, ასე უნდა დავიწყება?

— კაცო, შენი სარკე გატეხეს, ხომ იცი!..

— ავთო, სამართებელს რომ დამპირდი, რატომ არ დამიტოვე?

— ბიჭო, შევებულემაში ვინ არ წასულა, მაგრამ ამხანაგები არ დავიწყებია. ასე უნდა?

— ავთანდილ, შევებულემა ხუთში ვითავდება, ხომ იცი, არ დავიწყდეს.

— კაცო, მართლა ცოლს თხოულობ? ქორწილი უჩვენოდ არ ჰქამო, იცოდე.

ყუმბარებივით დააყარეს დალაქებმა საწყალ ავთანდილს...

შეყვარებულებმა პატარა მანძილი გამოიარეს და თინათინი შეჩერდა.

— მე ამხანაგთან უნდა მივსულიყავ დღეს, სულ გადამაგიწყდა. — თქვა თინათინმა და ავთანდილთან გამომშვიდობება დაიწყო. — თაიგული შენ გქონდეს, თან ვერა წავიღებ. — და თაიგული ავთანდილს მისთავაზა.

— კი, მაგრამ... — სიტყვა პირში გაეჩხირა ავთანდილს.

— ჰმ. დალაქი! — თქვა ქალმა და წავიდა.

ვაჟი გაშტერებული იდგა ერთ ადგილს.

ქალი კი გაბრაზებული მიაბიჯებდა ისეთის პრეტენზიით, თითქოს რამდენი თინათინია ამ ქვეყნად, იმდენი არქიტექტორის ყოფნაც აუცილებელი იყოს.

ავთანდილს რა ექნა არ იცოდა. მას ხომ არასოდეს უთქვამს, რომ ის დალაქი არ არის და არქიტექტორაა.

თინათინი კი თვალს ეფარებოდა და არც ავთანდილის სიყვარულის სცხვენოდა და არც დიდი შოთასი.

რას იზამთ, ჩემი მოთხრობის გმირსაც თინათინი ერქვა!..

ზ. ივანიშვილი.





რომ ჩვენს ქვეყნის სიმაგილას, კვლავ სიმაგილაც ემატოს, რომ მოკეთე ხარონდეს, მტერს დამბლა დაემართოს, რომ ჩვენს დოვლათს, მონაგარს, საფრთხე არ მოელოდეს, — სახელმწიფოს სახალხო სესხი უნდა შევლოდეს; ჩვენი სესხით — მტრს ზრახვა მუდამ ნაცრად ქცეულა, მიტომაც მოვითხოვეთ კიდევ სესხი წლეულა, მოვითხოვეთ, მოვიდა სესხი მძლევამძლეობის, სესხი ჩვენი თანადგომის, ჩვენი კეთილდღეობის — სესხი ძლევათმოსილი ძვირად ხუთწლედისა — ეს ახალი სხივია, ახალი იმედია.

და ვინ არის... ჩვენში ის რა კაცი ვინც არ ცდილობს, ამ სიძულეს პოინდეს ობლივიცია? ვინ იქნება არ ცდილობს ზღაპრულად მოგების და სესხით ჩაბაძის თავის განაწილებები? ვინ იქნება ზღაპრული თანხა შინაგანად და ამ სესხს ახალსით ხელს არ მოაწეროს? ვინ იქნება ვინც მსესხის საქმეს დაზარალოს რომ სესხი უნდა ბრკელობა აცალოს? ისეთი კაცის პოინდეს ჩვენში ჩემთვის ძნელია, ნაცრად ვჩქარობთ, ამ სესხზე მოვაწეროთ ხელია მოკვლევით, სესხი უნდა ზღაპრულად ფრთხილია, დე მიღწევის დაგვიტყუებს, ეს ახალი მთებია, დე ხალხში ააგვოს ჩვენი ზღაპრული და ხეივანი, და კვლავ შევუყვინთ კანს სესხებს ჭელეთ-მეღეთი!

ფარსადანი

9 საათსა და 30 წ. სადგურზე უნდა ვყოფილიყავი. სადგურში კი მომეტრით იყო დაშორებული, მატარებლის გასვლას კი ველოდებოდი ჩემი მანქანა შესაკეთებლად იყო წაყვანილი.

— დავიღუბე, დავრჩი მატარებელს. — გავიფიქრე მე და ბედის შერიგება გადავწყვიტე, მაგრამ ჩემს წინ, ერთერთი დიდი დაწესებულების ეზოში, მსუბუქი ავტომანქანა დავინახე. მანქანის პატრონი არ ვიცნობდი, მაგრამ თვით დაწესებულებისათვის უცხო არ ვიყავი. — ვეტყვი, მათხოვებს, უბრალო ამბავია. — გავიფიქრე მე და მანქანის განმკარგულებლის კაბინეტისკენ წავივი. წინ მოფერი შემხვდა. — ხომ არსად მიდის მანქანა? — შევეკვირე მე. — არსად, ახლა მოვიყვანე. უთხარით დევისელს და წავიყვანთ. — კეთილი, სადგურამდე მჭირდება ხუთი წუთით. იმავე წუთში დევისელთან ვაჩნდი. — თუ შეიძლება მანქანა მათხოვით, სადგურამდე მჭირდება. — არ მოხერხდება. — მიპასუხა ცივად დევისელმა. — ხუთ წუთში დავაბრუნებ, მატარებელზე ვგვიანდები. — არ მოხერხდება, მანქანა არ არის. — მანქანა კიბესთან დგას. — მოვუტყერი მე. — მოფერი არ მყავს. — ის მანქანა სწორეთ მოფერმა მოიყვანა — კვლავ მოვუტყერი მე. დევისელის სახეზე უხერხულობა აღიბეჭდა და ლულულუთით მიპასუხა. — მოფერი არ მუშაობს, დათხოვნილია... — ბოდიში, მაგრამ ის უკვე მანქანის საქესთან დაჯდა და მზად არის თქვენი განკარგულება შეასრულოს. — აღარ მუშაობს... დათხოვნილია. — კვლავ ლულულულებდა ვამოუყვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი დევისელი. ლულულულებდა და ახალ დაბრკოლების მოგონებას ლამობდა; ენა ებმებოდა, მისი ბაგეები უხმოდ ცახცახებდნენ, დევისელი ველარაფერის მოგონებას ველარ ახერხებდა, ენა ებმებოდა იტანჯებოდა: მასში კერძო მესაკუთრის ინტსტიქტებმა გაიღვიძეს.

მანი

დ ე ბ ე შ ა

ვანოს მეუღლეს, ოლას, გულის დაავადება ჰქონდა და ბორჯომში მკურნალობდა. ავადმყოფს დედაც თან ახლდა. ოლას მდგომარეობა გაუარესდა. ოლას დედამ სიძეს თბილისში დეპეშა გაუგზავნა:

„С олей плохо пришли деньги“

— რად უნდა მარილი? ალბათ სამკურნალო მნიშვნელობა აქვს... შეიძლება მარილით მკურნალობენ... ფულსაც გაუგზავნი და თუ კი მარილი ამდენად საჭიროა თბილისიდანაც წაუღებ. ვინ იცის იქნებ ფულის მიღებამდე ბორჯომში კიდევ დაილიოს. — გაიფიქრა ოლას მეუღლემ ვანომ მაგიდაზე დასდო უკვე მეოთხედ წაკითხული დეპეშა, რომელზეც ეწერა:

„Соли много, пришли деньги“

სიპი.

ნოზათი

შორაპანი. წვეის რ. გზ. ბაქანი. ერთი წელია რაც ქარმა წააქცია და დღემდე შორაპნის რ. გზ. უბნის დირექტორია არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს მის აღსადგენად.

გ. წიფლაკაკელი

აპა ნიანგო, შენ მოგიძღვნი და დაუკოცნე ჩვენი რკინიგზის დირექციას სიფათის ფორმა, ნთელი წელია დაჰყურებს და არ მოაგონდა რომ ააყენოს წაქცეული, წვეის „პლათ-ფორმა“.

გობა და სიყვარული? — მიმართა რეჟისორმა მაყურებელს. უკანასკნელმა გულწრფელად უპასუხა:

— ვერაგობა ბევრია შიგ და თეატრისადმი სიყვარულის კი რა მოგახსენო...

ხარისხი სწავებს

თეატრალურ თათბირზე ერთერთი სარაიონო თეატრის ხელმძღვანელი სჩიოდა: — არ დადის ხალხი თეატრში... ზამთარში ცივა, ზაფხულში ცხელა, დღით ხალხი მუშაობს, საღამოს ისვენებს... აბა ვინ მოვიასეთ პირობებში თეატრში? — სიცრუეა, — ესროლა რეპლიკა თათბირის მონაწილე მეორე რეჟისორმა: — მე დავდგი წარმოდგენა რაიონის თეატრში, ძალიან ციოდა, მაგრამ თეატრში მაინც ტევა არ იყო. მოულოდნელ რეპლიკაზე შენგელიამ დამშვიდებით უპასუხა: — ო, თქვენ ალბათ კარგი წარმოდგენა დადგით...

გ. ბათომაილი.

თეატრალური მოთხრობები

რეცენზიები და მსახიობი

ბალში ერთმანეთს შეხვდნენ მსახიობი და რეცენზენტი. — ვაგაკეთე, ბიჭო, მალარიჩია შენზე! — მიეგება რეცენზენტი მსახიობს და გაუწოდა ახლად გამოსული გაზეთი, რომელშიაც გუშინდელი წარმოდგენის რეცენზია იყო. — სულ ჩიოდი არაფერს წერ ჩემზეო და დავწერე. მსახიობმა რეცენზიის კითხვა დაიწყო. ამ დროს მეორე მსახიობიც მოვიდა. — დალაზეროს ეშმაქმა!... — დაიყვირა პირველმა მსახიობმა. — რას ვაგინებს? — თანაგრძნობით შეეკითხა ახლად მოსული. — არა! მაქვს!

— შენი საქმე მიკვირს, — გაცხარდა რეცენზენტი. — ვაგინებს — გწყენს, ვაქებ — გწყენს. რა გიყო აბა მეტი. — რა ვაწუხებს, თუ კი ვაქებენ?! — შეუტია მეორე მსახიობმა. — რაუა რა ვაწუხებს, კაცო: გვიგეთ, არ მითამაშნია წუხელის, სულ არ ვყოფილვარ თეატრში. ვერაგობა და სიყვარული დადგეს. დადგმა მეტად ხალტურული გამოვიდა: როცა პრემიერა დასრულდა, რეჟისორმა ნაცნობი მაყურებელი მოსძებნა, ქების მოსმენა მოეხასიათა. — როგორია ჩვენი ახალი დადგმა „ვერა-








## წინ მივლივართ (სტალინიანი)

ფიზკულტურაში წინა ვართ  
ტემბი გვაქვს ჯერ არნახული,  
ფეხბურთის გუნდი შევქმენით  
„პურმარილი“ და „კახური“.

მაყურებლები რომ უფრო  
და უფრო იქნეს გართული,  
ცირკში ერთმანეთს ვაჭიდებთ,  
ფრანგულია თუ ქართული.



მსაჯი გვყავს, მერე-რა მსაჯი  
კრიხელი მისი გვარია,  
გუშინწინ მაყურებელ ქალს  
ძირს წაუქციეს ქმარია.

ფიზკომი ფ. ზასიევი  
იქ მშვიდად გადმომდგარიყო.  
მსაჯმა იყვირა: — სამ უპალ,  
სამ წაქციული არ იყო.

წუკრი.

## ბოჯომის სახელგამბი

გარეთ წვიმდა, „შევაფარე“  
მე სახელგამს თავი.  
შეველ შიგნით, შემომემსა:  
კვებსა გულსაკლავი.

წიგნებს ხახა დაეფრანათ  
და ტიროდენ მოთქმით.  
შალაზია გავსილიყო  
წყალითა და ორთქლით.

ძალი პატრონს ვერ იცნობდა,  
გეფიცებით, შიგნით.  
— მიხა, — გამგეს შევეკითხე, —  
ამ წყალს როგორ ჰყიდით?..

ან ტალახი როგორ ფასობს,  
ამ თქვენ სახელგამში?  
მუშტარს რამდენს ახდევინებთ  
აქ ბიჭო, ცურვაში?

— რა ვქნა, ძმაო, ასე ვწვალვობ,  
არ მაძლევენ ბინას.  
წიგნებს წვიმა აოხრებს და  
საბჭოს ტკბილად სძინავს...


პაული

## ხვინავს მაჭავარიანი...

(სოფ. საღანძილე, ორჯონიძის რ.)

ნიაზგემო, ჩვენს სოფელში  
ბიჭები გვყავს გვარიანი,  
მოხერხებით ყველას სჯობნის  
გრივალ მაჭავარიანი.

სოფსაბჭოს თავმჯდომარეა  
„გულკეთილი“, მეტად „ნაზი“,  
ის შეგებირდა: ტელეფონის  
გექნებათო მალე ხაზი.



გვაზიდინა ბოძები და  
შიგ ეზოში დაიყარა,  
კობტა სახლი წამოჭიმა  
და მით გული გაიხარა.

არხინად წამოწვება,  
როს ლამეა მთვარიანი,  
მაღალ ბოძის აივანზე  
ხვრინავს მაჭავარიანი.

კვანტილა.

## ბოლოინი

(ხაშური)

აქ, სადგურის ადგილკომის  
თავმჯდომარეს უყვარს ღვინო,  
მხოლოდ მისთვის, რომ კრებაზე  
უფრო ტკბილად დაიძინოს.



იგი ამბობს: — ლომიძე ვარ  
და მსურს ისევ დავრჩე ლომად, —  
ნეტავ როდის დანიშნავენ  
მას ღვინტრესტის ადგილკომად?


არქიზო.

## შინ ნაიღას სომხალ-მკვლავი...

(სოფ. მმოლა სვირის, (ზმსტაფორის რ.)  
1 მაისის სახ. კოლმეურნეობა)

კოლექტივის თავმჯდომარედ  
დააჯინეს დათა ბიჭი,  
უნდა ესთქვა რომ ღვინის სმაში  
აღმოაჩნდა დიდი ნიჭი.

კოლმეურნეს ვერვის ნახავ,  
რომ შრომადლე მას არ აკლდეს,  
კვინიკაძეს თუ შესჩივლე,  
კარში კინწით ვამოგაგდებს.



ერთხელ, მთვრალი, გაღეშილი  
მოველინა კოლმეურთ კრებას,  
ლურჯა, ყალყზე დააყენა  
ხალხს დაუწყო დამუქრება.

ცხენმა ველარ მოითმინა,  
თითქოს ისურდა რალაც ეთქვა,  
შეხტა ლურჯა, თავმჯდომარე  
მიწას მაგრად დაახეტა.

უცბად წახდა დათა ბიჭი  
გმირ-რაინდთა „შესადარი“  
თავპირგვერდებ ჩაღეწილი  
შინ წაიღეს ცოცხალ-მკვლარი.

წიფლავეკელი.

## შეხვეა


სადგურ სვირის უფროსი სისუფთავეს ყუ-  
რადღებას არ აქცევს.

ვინც მოისურვებთ გვესტუმროთ  
ნახოთ სადგური სვირია.  
გაფრთხილებთ აირწინალით  
უნდა აიკრათ პირია.

სიბინძურის სუნს ვერ უძლებს  
ვისაც სუსტი აქვს გულია,  
სადგურის უფროსის გარდა  
აქ ყოფნა აკრძალულია.

წუწუ.






პატარა ხულიგანმა თავის საქმე გააკეთა და წავიდა



დამნაშავის აღმოსაჩენად გამოიძახეს ცნობილი სამძებრო ძაღლი





ძაღლმა დაუნოხა ნაკვალევს და წავიდა წინ...




ერთი საათის ძებნის შემდეგ ცნობილმა ძაღლმა განსახკომის დაწებებით და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსს შეუყუყუა.

სამძებრო ძაღლი მეთად გონიერი გამოდგა.



გაზიანებული მოხსენება



— ამხ. მომხსენებლო, საათს თუ არ უყურებთ, კალენდარს მაინც უხედეთ...



ესე ამბავი ხრეველი, ჩხარულად ნათარგმანები,  
ვპოვე და ლექსად გარდავქმენ, საქმე ვქენ საჭოჭმანები.  
ვიზედაც მინდა გაიმბოთ — რუსთველისაა სეხნია,  
რაც ცუდი ჩაუდენია სახალხოდ დაუკვეხნია.

თუ ვერ სწერს „ვეფხისტყაოსანს“ ეს ვერაფერი ნაკლია,  
ოც ბგერას დასწერს ზეპირად, ცამეტის ცოდნა აკლია.

გაგვიკვირდებათ ბრძენობა ისე „ჭკვიანი“ გოგრისა,  
მაგრამ ის სახელს ატარებს ოთხწლედის პედაგოგისას.

მას მოდებამდე უხმობენ, არს ესე საცოდნარია,  
ყოველი რანგის გამრტყმელი იმისგან საწუნარია.

შოთამ თავისი სოფელი გადააქცია ტალახად,  
საწყალი კარბე ბაქრაძე მთელი შეძლებით ვალახა.

სამ დღეს ქეიფად გაიჭრა დაკეტა სკოლის კარები,  
ილო ბაქრაძის ჭურმარანს დაახუჭვინა თვალები.

თან ღამის თევა მოაწყო შეჭყარა სოფლის ქალები,  
განთიადამდე იყვირა ვარი და ვარალალები.

შემდეგ მიუხტა შუშანას (მოდებამდე გვარადა)  
მაგრამ ტირილად უქციეს რაშო და ოსივარადა.

შოთავ, კეტმა თუ ვერ გავნო ჩემს კალმის წვერსაც უქელი.  
ვწერ ვინმე კაკო იმერი, გვარწოდებულად:



თუჯალი.

## ღამეულვრის მოცოდინები

ის იყო ალიონზე ფალიაშვილის ქუჩაზე ჩამოვიარე, რომ  
№ 11 სახლის ეზოდან ერთი ალიაქოთი შემომესმა:

— არა, როგორ გაბედე და ჩემს შვილს უთხარი ნუ გვაწუხებო, როგორ გაბედეთ თქვე ვირებო, იდიოტებო და ფსინაპატებო. ა? როგორ გაბედეთ მეთქი, როგორც ვატყობთ არც კი გეშინიათ ჩემი არა? მაშ მე ქსენია არ ვიყო, თუ ამ ეზოდან სათითაოდ არ გაგრეკეთ, კარგი, დამაცადეთ. — უყვიროდა თავის მდგმურებს სახლის მეპატრონე ენუქიძე და საცემრად იწვევდა მათკენ.

— ბატონო, სიტყვის თქმის უფლება არ გვაქვს თუ! აგვიკლო ბატონო თქვენმა ბავშვმა და ნუ თუ არ შეიძლება დაარიგოთ იგი და წესიერად გაზარდოთ.

— რაი? წესიერად გაზარდოთ... მაშ მე უწესო ვარ, არა...

— დამშვიდდით ქალბატონო! ამაზე ჩხუბი როგორ შეიძლება, — ამშვიდებდა სახლის მეპატრონეს მეორე მდგმური.

— ყოველდღე ასე გვაწუხებთ და ჩვენ იძულებული ვხდებით მილიციას მივმართოთ, — დაუმატა მესამე მდგმურმა.

— რაო? მილიციაო? მილიცია თუ არა, ხახვი არ დამაჭრას კისერზე.

— ხომ გაქვთ გაფრთხილება მილიციიდან, მეტი რაღა გინდათ, მოგვასვენეთ ბატონო...

— რაო? გაფრთხილებაო? მაგისტანა გაფრთხილების რომ მეშინოდეს მე, ქეც მომკვდარა ქსენია მაშინ. მოგვასვენეთო? მაშინ მოგასვენებთ, როცა წავასვენებთ აქედან...

— ბოდიშს ვიხდით, მაგრამ თქვენც დაწყნარდით და ჩვენც დაგვანებეთ თავი.

— თავი დაგანებოთ? ვერ მოგართვით დამპარული ბადრიჯანი.

აბა, გამიჩერდით მაქანა, — სთქვა ქსენიამ თუ არა, ქვების გროვა ერთბაშად დაუშინა მდგმურებს.

— უიმი, მოგკვდი... — დაიგმინა ერთმა მდგმურთაგანმა და იქვე ჩაიკეცა.

— რას შვრებით კაცო! გვბოცავთ... რას გვერჩით, რა გინდათ ჩვენგან.

— რა მინდა? მე კერძო მესაკუთრე ვახლავარ და ჩემი მინდა მქონდეს, ჩემი...

— ქსენია, კარგი, დღეს აკმარე ვგი! — უთხრა ამ სახლის მეორე მეპატრონემ დავით ცინცაძემ ქსენიას და იქვე მდგარ ჭუჭყიან წყლით სავსე ტაშტზე ანიშნა.

— ვაკმარო არა? კარგი, ესეც შენ... — და ქსენიამ თავგატეხილ მდგმურს თავზე მთელი ტაშტი წყალი გადაასხა... გულშეწუხებული ცივმა წყალმა გამოაფხიზლა.

— ვინ ხართ ადამიანი, მიშველეთ, — დაიყვირა მან.

მეტი გზა არ იყო: შევევარდი და ქსენიას გადავუდექი. გამზავებელს მეტი ხედებაო — ნათქვამია: ისე თქვენ ავიხდეთ ყოველივე სიკეთე, როგორც მე ეს ანდაზა ამიხდა.

ის იყო კბილებჩამტვრეული ეზოდან გამოვედი, რომ ქსენიას ხმა კვლავ მომესმა:

— აფსუს რომ ეგ წყალი აღუღებულა არ იყო აფსუს. მაგრამ მე არ ვიყო ქსენია თუ ეგეც არ შეგისრულოთ... დღეს მიპატივებია ყველაფერი და ხვალ მე ვიცი...

სიმართლე ვითხრათ აღარ გამივლია იმ ქუჩაზე. ვშიშობ: ქსენიამ რომ ერთადერთი ოქროს კბილიც დამატოვებოთ რაღა ვქნა მაშინ?




# სიყვარული და ბოტანიკა




ნახ. დებუვევა  
საქართველოს  
საბოლოო


ტექსტი გიასი.



წვიმიან გაზაფხულზე, ამწვანებული ხეების ხეივანში ვითარდებოდა აბესალომისა და ეთერის რომანი. „მიყვარხარო“, ვაჟი ეუბნებოდა, „მერე მე რა ვქნაო“ ქალი უპასუხებდა და მწვავე წუთების დღიურს ხის ქერქზე წერდნენ.




გავიდა დრო, ქალი კვლავ უარზე იდგა. „რა ჩემი საქმეა, რომ გიყვარვარო“, ამბობდა და გულმოსული აბესალომი კალმად ხმარობდა დანას, მელნათ ცრემლებს, ხოლო ქალაღდათ ამწვანებულ ხეს.



მცხუნვარე ზაფხული ახლოვდებოდა. ქალისაგან „ხო“ ჯერ არსად ჩანდა. ვაჟი ჯავრისაგან კინაღამ პოეტად გადაიქცა იმდენს წერდა თავისი კალამ-დანით.



და დადგა ნახევრად ბედნიერი დღე: ქალი დაპირდა რომ ერთი კვირის შემდეგ, როდესაც კვლავ აქ შეიყრებოდნენ პაემანზე — საბოლოოდ ეტყოდა ან „პოს“ ან — „არას“.



დანიშნულ დროს შეიკრზნენ, ქალს გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი ხეივანის შემდეგ ეთქვა „პო“ მაგრამ მწვანე ხეების ხეივანი აღარ დაუხვდათ და წვიმამ საბოლოოდ ჩაშალა აბესალომისა და ეთერის რომანი.



(ტკიბუღი)

ერთხელ გრიგოღ წერეთელმა სტკეა: კაკი ვარ თავმომწონე ვინ მაჯობებს მე რამეში მიჭრის ჭკუა, ხერხი, ღონე. ჰოღი შევალ მე თეატრში და ვიქნები ღირექტორი, ფულებს უხვად ჩავიჯობავ ვინ იქნება ჩემი სწორი!

სტკეა და კიღეც შეასრულა წერეთელმა განზრახული და თეატრში გაიშალა, „მუშაობა“ არნახული.

მის დანიშვნის შემდეგ დასში შეტრიალდა სხვა ელფერი; ინტრიგამ და ყოყონობამ აურია ყველაფერი...

გადასწყვიტა ღირექტორმა მოეწვია სამეული.

გამოეწყოთ საბუთები, არ ჰქონოდათ არეული.

წამოიწყო ღირექტორმა:

— „ღამეთანხმე რეჟისორო გადავსწყვიტე დროზე აღრე არტისტები მოვიშორო.“

და თეატრში მარტოდ-მარტო ჩვენ მივიღოთ მუქთად ფული, ბულატერო, შენ რას იტყვი გავიხაროთ ამით გული?“

— რობაქიძემ სტკეა: — „უწყისით მე გავქაფავ ძველებურად. — მხოლოდ შემდეგ ეს ფულები ჩვენ გავიყოთ ძმაბიჭურად.“

ამის შემდეგ ღირექტორმა რომ დარწმუნდა, ნახა ფონი, და მაისის ხუთმეტ რიკხვში სულ დახურა მან სეზონი.

თექვსმეტ მაისს მთელი დასი გამოცხადდა შეწყობილად და გეაჩვენეს ჩვენ უწყისი მათ გემოზე შედგენილად.

სამი თვის და შეგებულების ბიულეტენიც ერთად იყო, და აყვირდა ყველა ერთად — „ღირექტიამ ეს რა გვიყო“.

ის არ კმარა თვე-ნახევრით! რომ ხურავდა სეზონს აღრე? ხელშეკრულების თანახმად მივეშველოთ საქმეს მალე.

— „როგორ ბედავთ, ვის ასწავლით. — რას ვაკეთებ, ეს მე ვიცი“.

დატრიალდა ღირექტორი შეკუნტრუშდა როგორც კვიცი.


ვეუბნებით: — ნუ გეაწამებთ თორემ ვნახავთ ჩვენც სამართალს, გნახავთ მაშინ ცხვირდაშეებულს, „როს გავარჩევთ ტყვილს და მართალს“.

გვეუბნება: რა უნდა ქნათ? თქვენ რა იცით რა მაქვს გულში. ოინებით, ცუდ საქმობით გნთქმული ვარ მე ტკიბულში.

და მას თავი დავანებეთ, დავიწყველეთ ჩვენ „გამჩენი“. მაგრამ მალე გამოვიდა სასამართლოს განაჩენი.

აქ მოვიგეთ, ვადიტანა, მან ეს საქმე უფრო მადლა. უხელფასოდ დარჩენილებს რომ დაგვეტყოს ბრძოლით დაღლა.

არ დავუთმობთ ბიუროკრატს, ბრძოლისათვის კვლავ ვართ მზადა, ჩანგლის წვერზე წამოვავოთ ღირექტორი არამზადა. არაკიხელი



რასაკვირველია, კარგად მოგესხენება ფუტკრის სარგებლიანობის ამბავი: ის თაფლს აკეთებს, მისი მოვალეობაა სკაში იყოს, ან ყვავილებზე დაფრინავდეს ყოველ შემთხვევაში, არავითარ შტატში გათვალისწინებული არ არის, რომ ფუტკარი გამაგრილებელი წყლების გაყიდვის საქმეში ერეოდეს.

მით უმეტეს გასაკვირველია მელიქიშვილის ქუჩაზე (ვარდისუბნის ქ. კუთხე მარჯვნივ) მომხდარი გამოსვლა, როგორც ფუტკრების, ისე წყლის გამყიდველისა:

აქ სეროფის ჩამოსახმელ ჭურჭელს მრავალი ფუტკარი ახვევია. წყლის დასხმისას რამოდენიმე ფუტკარი კიქაშია.

— ეს რა არის? — ეკითხებიან გამყიდველს.

— ვერა ხედავ? ფუტკარია, სხვა რა უნდა იყოს! — უპასუხებს ის ბღვერით.

— კი, მაგრამ, მე უფუტკრო წყალმინდა.

— უფუტკრო საიდან მოვიტანო, როცა ფუტკრები თვითონ ცვივან ქიქაში.

— ამას ვერ დავლევ.

— თვალსაც მოითხრი.

— რატომ მაყენებთ შეურაცყოფას.

ვეკითხები მას.

— იმიტომ, რომ ბრიყვი ყოფილობა ფუტკრის წინააღმდეგი ხარ, ეს ხომ უბრალო ბუზი არ არის!

ერთი სიტყვით საქმე მომხმარებელი უბნში შეურაცყოფით თავდება. ამ კიოსკში მომუშავე გამყიდველი თავგასულ ხულიანობას არ ერიდება.

გთხოვთ განგვიმარტოთ, მართლა არ შეიძლება გამაგრილებელი წყლის უფუტკრო დალევა?

ხახაგაგზარალი

ჰინს რა უნდა თქვასო, ნისქვიღა კი ფქვასო

ქუთაისის კინო „ღამკვრელში“ ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე სკამზე იყილება რამოდენიმე ბილეთი.

ნახ. ან. კანდელაკისა.



ჰინოს გაგმა: სად აღიხარ კაცო! ვერა ხედავ, რომ ადგილი არ არის?! მაჰურკებელი: მაშ სად წავიდე, როდესაც მეც ამ სკამის ბილეთი მაქვს?!



СССР  
განათლების სახელმწიფო კომისია  
თბილისი  
22 19 საშუალო სკოლა  
ნარკომპროს  
Тбилисская 19-я Средняя Школа  
1928 „23“ აპრილი  
№ 74  
თბილისი, შავიანი ქ. № 40  
Тбилиси, ул. Шавиани № 40

სწავლის  
აქვე წარმოგვქვნი მითხდი  
ესკოლის მშენებლის შემოქმედის  
მუშაობაში მ. 19. 1928 წელს  
საშუალო სკოლაში  
როგორც კარგი მომუშავე  
გამოიყვანეთ აქტიურობით  
სუბიექტურად.

ს. ფიჭვინიძე  
საშუალო სკოლაში  
მ. 19. 1928 წელს



(სოფ. მოღიბი, ოკუპაციის რაიონი)

აქ გამგე აფთიაქისა ერთი „საწყალი“ კახია, უჩვენეს წამლის რეცეპტი, ხელი გაჰკრა და ვახია. შორივით მოსულთ, უნდა ვსთქვა, კარგად ეპყრობა ის სტუმრებს. რეცეპტის წაუკითხავად ლანძღვა-გინებით ისტუმრებს სამი საათის შემდეგ კი (ასე სურს, ასე ენება) ჰკეტავს და მიდის. თუნდ გქონდეთ ტიფი ან ციებ-ცხელება. ამბობს: — ბიჭი ვარ მხეიძე თავმომწონე ვით მამალი, — ნიანგო. გამოუწერე მას შესაფერი წამალი.

კუპარაჩა.



ამხანაგო ნიანგო!

სადგურ რიონში გამოკრულია ასეთი გახ-ცხადება:

„საბილეთო საღარო ბილეთების გაცე-პისა მგზავრებზე თუ კი აწერილი იქნება მიღებული ამათუიმ მატარებელში ადგილე-ბის შესახებ, ვინაიდან ბრონი სად. რიონის საღაროში არაა.

სად. უფროსი: ი. მეტორ...“

როგორც ეტყობა, ეს განცხადება მგზავ-რობას, ბილეთს, ან მატარებელს უნდა ეხე-ბოდეს და შესაძლოა საჭიროც კი იყოს სა-ღაროში ბილეთისათვის მისული მგზავრები-სათვის მისი ცოდნა. ამიტომ გთხოვთ გადა-გვითარგმნოთ ქართულად.

მგზავრების დავალებით ბ. ძაძაშია

ნიანგის შენიშვნა: ამ განცხადების ქარ-თული თარგმანი ასეთია:

„სადგურ რიონის აპარატში და განსაკუ-თრებით კი — საბილეთო საღაროში სა-ვალდებულოა მუშაობდნენ არა თუთიყუშე-ბი, არამედ თავიანი მუშაკები, რომელნიც თავისი აზრებით არ დააბნევენ მატარებ-ლების მიმოსვლით დაინტერესებულ მოქა-ლაქეებს.“

ნიანგი ფიქრობს, რომ ეს მართლაც აუც-ლებელია.

აგბავი „საქნიღოსგნაღთა“ კრებისა

(სამბრედი)

ადგილკომის დაძახილზე ვით ზეიმი, შესდგა კრება. დირექტორი მორიდებით მოხსენებით ჩვენს წინ დგება.

დისციპლინის განმტკიცებას არ ჰხლებია ხელი მათი.

გაინაბა დარბაზი და იწყო დენა ირგვლივ ხმებმა. შეიწირა, ასე რომ ვთქვათ, ცხრა საათი შეკითხვებმა.

და გრძელდება შეკითხვები, ტალღასავით ედინება.

— ბავა არ გვაქვს.—ერთი ამბობს

როგორც იქნა დირექტორის დაპირებით სწყდება კრება.

— სპეცხალათი.—სწყუხს მეორე.

და ახალი ფიქრით სავსე მუშა მუშას ეუბნება:


წითელ კუთხის უქონლობას ასი კაცი იმეორებს.

— ამ კრებაზე ნაამბობის თუ მოხდება შესრულება?

შრომის დაცვის საკითხებზე იყო დიდი მასლათი.

ნუ თუ ჩვენი დირექტორი ამჯობინებს კიდევ მოცდას. ნეტავ მაშინ ვინ მიაქცევს ყურადღებას „საქნიღოსგნაღთა“

ვაგნელი გვიკი



ლახუსტაქს (აქვე). თქვენს ლექსში „ჩემს ამალიას“ ერთი ადგილი მოგვეწონა:

ქორუა კომბს (აქვე). „ქორუა პოეტი“ კი ხართ, მაგრამ „ქორუა პრუჟინა“ გაგჩე-ნიათ ტენში, როცა ასეთ „ქორუა“ აზრებს გამოსთქვათ:

სიყვარული შენი მდაგავს, მომიმზადე წამალია, ჩემთან ერთად მიაწვი საქმეს, ჩემო ამალია!

მინდვრად იზრდება ყვავილი, იგი ახარებს ყველასო რძეს აჩუხჩუხებს ძუძუდან იძლევა დიდრონ წველასო.

ჩვენც „მივაწვივით“ თქვენს ლექსს და გოდორში დავაბინავით.

დაუსწრებელს (აქვე, სტუდენტთა ქა-ლაქი). იწერებით:

ვანელს (ს. ვანი). იწერებით:

ნიანგო-ჯან, ჩამოდი და ინახულე ჩვენი ვანი ავტოტრესტის საღაროში ხალტურას აქვს გასაქანი.

სტუდენტი ვარ პედსექტორის სწავლა როდი ვინაზეო, ჩამოვედი, მომათავსეს სტუდენტთაში ბინაზეო.

თუ აგრეა, ნიანგი ჩანგლის წვერს არ და-იშურებს, მხოლოდ საჭიროა დამნაშავე პი-რების და დანაშაულის ჩადენის შემთხვევის უფრო კონკრეტულად დასახელება.

ივლისის დღეს მეთოთხმეტეს დილა იყო მეტად „კარგი“, კომენდანტი გვეწვია და გაგვიყარა გარედ ბარგი.

ალბად სტუდენტთა კომენდანტს ანგარი-ში არეგია. მან უნდა იცოდეს, რომ საერ-თოდ არსებობს კანონი ბინის ხელშეუხლებ-ლობის შესახებ და არა კომენდანტის ხელ-შეუხლებლობის და მით უმეტეს ჩანგალშეუ-ხებლობის შესახებ.

ქორნელის (აქვე). ჩვენ სამჯერ წავე-კითხეთ თქვენი ლექსი, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ, რა დააშავა საპარიკმახერო „პიგი-ენის“ თანამშრომელმა ლონგინოზმა, რომ-ლის შესახებაც იწერებით:

ნიანგო-ჯან, გვედრები საქმეს „ჯვარი დამიწერე“ და საჩანგლე ლონგინოზი შენს ყურნალში გამიწერე.



# „ჩვილი“ ძმების „სათამაშო“ ოთახში

ფრანკოს ზურგში აჯანყებები ისტრემტულ რისიკოს იღებენ (აწუთებოდან)

ნიკოლოზი

ნახ. მიხ. ლებუგვისა



— მსუბუქი ძირი გამოადგა ამ ოსერ „ვანკა-ვსტანკას“: რაც არ უნდა შეუდგა, ფეხზე მაინც ვერ დგება..